პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 181 (4175)

1970 წ. 15 სექტემბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ახალი ამბები

● **ბუქარესტი**, 13 სექტემბერი. ევროპის მსტენდუურეთა აქ გამართულ ჩემპიონატში როსტოველმა ლ. კორჩინსკაიამ უძლიერესის სახელი მოიხვეჭა მრგვალ სტენდზე სროლაში — 150 თეფშიდან 144 გატეხა.

● **კოლუმბუსი** (ოჰაიოს შტატი), 13 სექტემბერი. ადგილობრივი უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დაიწყო მსოფლიოს XXIV ჩემპიონატი ძალოსნობაში. უმჩატეს წონაში ოქროს მედალი პირველად მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა შ. ჰოლცრეიტერმა (უნგრეთი) — 342,5 კგ (ეს შედეგი 2,5 კილოგრამით აღემატება ლვოველი გ. კრიშჩიშინის მსოფლიო რეკორდს). სვერდლოვსკელმა ვ. სმეტანინმა და პოლონელმა ვ. შოლტისეკმა სამჭიდში ერთნაირი შედეგი (330 კგ) აჩვენეს, მაგრამ II ადგილი შოლტისეკს მიეკუთვნა ნაკლები პირადი წონის გამო. მჩატე წონაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაიბრუნა 25 წლის ირანელმა მ. ნასირიმ — 362,5 კგ (115+100+147,5). სამჭიდში ასეთივე შედეგი ჰქონდა უნგრელ ი. ფიოლდის (120+105+137,5), მაგრამ იგი დაწესებულ ნორმაზე — 56 კილოგრამზე უფრო მძიმე აღმოჩნდა და II ადგილი მიეკუთვნა. ბრინჯაოს მედალი გადაეცა პოლონელ ჰ. ტრემბიცკის — 357,5 კგ. საბჭოთა ძალოსნები ამ წონაში არ გამოსულან.

● **ფრიაზინო** (მოსკოვის ოლქი), 13 სექტემბერი. აქ გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი სპორტულ სიარულსა და მარათონულ რბენაში. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა მექსიკის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, პენზელმა ნ. სმაგამ — 1:30.21,6. მას მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა რომისა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. გოლუბნიჩი (სუმი). III ადგილზეა ივანოვოელი ვ. ვავილოვი. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ფრუნზელმა ო. ბარჩმა და ალმაათელმა ვ. სოლდატენკომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგით დაამთავრეს შეჯიბრება — 4:09.26,3. ალმაათელი ფინიშის ზონარს მეტოქეზე ოდნავ ადრე შეეხო. ბრინჯაოს მედალი მოსკოველ ე. ლიუნგინს ხვდა. მარათონელთა შორის მხოლოდ გამარჯვებულმა — კრივოიროგელმა ი. ვოლკოვმა აჩვენა ოსტატური შედეგი — 2:24.57,0. ამრიგად, მან 1968 წელს დაკარგული ჩემპიონის წოდება დაიბრუნა. ვერცხლის მედალი გადაეცა პერმელ ი. ველიკოროდნიხს, ხოლო ბრინჯაოსი — მოსკოველ ა. სუხარკოვს.

● **ბუქარესტი**, 13 სექტემბერი. რუმინეთის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში მაღალ შედეგებს მიაღწიეს კუბელებმა: ხ. მორალესმა 110 მ თარჯებით 13,7 წამში გაირბინა (კუბის ახალი რეკორდი), 100 მ მ. კობიანმა 11,6, ხოლო პ. მონტესმა — 10,1 წამში. მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინეს და I ადგილები დაიკავეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვ. ვისკოპოლიანუმ (სიგრძეზე ხტომა — 645 სმ), ლ. მანოლიუმ (ბადროს ტყორცნა — 58,44 მ), აგრეთვე, ვ. ბუფანუმ, რომელმაც რუმინეთის ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე თარჯრბენში — 13,4 წამი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, გდრ-ის, საფრანგეთისა და გფრ-ის მძლეოსნები.

## ჩაფხუტიანთა სარბიელი

ვარშავა, 14 სექტემბერი. ვარშავის „გვარდიის" სტადიონის 400-მეტრიან ბილიკზე უჩვეულო დაბრკოლებები დადგეს: ეს იყო 2,5 მ სიმაღლის ფიცრული, 2-მეტრიანი ღობე და შემოდგომის წვიმით სველი ბუმი, რაც სტადიონს სამ 100-100-მეტრიან უბნად ყოფდა. მეოთხე ეტაპის ფინიშთან იდგა დიდი რკინის წინაღობა ცეცხლმოკიდებული სითხით. 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მონაწილეობდნენ ჩაფხუტიანი სპორტსმენი მეხანძრეები: სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები.

კვირას დამთავრდა მათი ტრადიციული ასპარეზობა. პროგრამაში იყო ესტაფეტა წინაღობებით და გუნდის საბრძოლო გაშლა სამიზნეთა... ბრანდსპოიტით დაზიანებით. ყოველ მონაწილეს ჰქონდა საიერიშო კიბე, რომლის დახმარებითაც უნდა გადავლებოდა სახლს, ღობეს, გაერბინა ბუმზე და ფინიშთან რამდენიმე წამში ჩაექრო მოგიზგიზე ალი.

წარმატება მოიპოვა საბჭოთა მეხანძრეების გუნდმა, რომელიც ფინიშთან 1 წუთისა და 12,3 წამის შემდეგ მივიდა. მაღალი შედეგები აჩვენეს გ. ზაპლატინმა, ვ. სალიუტინმა, გ. ბუკიამ და ვ. კიბკომ. ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გუნდებმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს. საბრძოლო გაშლაში I ადგილი ხვდათ ბულგარეთის სპორტსმენებს, II ადგილზე არიან გდრ-ის, III — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. სერგეევმა შეაჯამა შეხვედრის შედეგები.

— წინაღლით ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში და სპეციალური დახრახნილი კიბით ვარჯიშში. ამ სახეობებში მათ მოიგეს როგორც პირადი, ისე გუნდური ჩათვლა. ჩვენი ნაკრების მაჩვენებლებით კმაყოფილი ვართ: საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავედით.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენმეხანძრეთა გუნდმა ზედიზედ მესამედ დაისაკუთრა გარდამავალი თასი.

(საკდესი).



საფრანგეთის ქალაქ არკაშონში ააგეს ახალი ექსპერიმენტული ნავი პლასტიკური მახალის აფრით, რომელიც უახლოეს ხანებში ჩაააბარებს პირველ გამოცდას.

ფრანს-პრეს — საკდესის ფოტო.



ნორჩი ტალინელი პატრიკ რუტარი დიდ აბაზანაში პირველად მაშინ ჩაუშვეს, როცა 2 თვის არც კი იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ პატრიკი უკვე ჩერდებოდა წყალზე, რამდენიმე ხნის შემდეგ კი იგი ნახევარ საათს ცურავდა და თან მხიარულად უღიმოდა მამას.

პატრიკის მამამ, პროფესიით მუსიკოსმა ვ. რუტარმა გადაწყვიტა, რომ დრო მისმა პირმშომ ნამდვილი გაკვეთილები მიიღოს აუზში. მაგრამ საამისოდ გამოცდილი მწვრთნელის კვალიფიციური რჩევა გახდა საჭირო.

პატრიკი ახლა 8 თვისაა და აუზში ცურავს. ნორჩი მოცურავის ყოველი საწვრთნელი მეცადინეობა ნახევარ საათზე მეტ ხანს გრძელდება.

ესტონეთის რესპუბლიკური ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი ფ. მარკუზასი, რომელიც პატარას თვალყურს ადევნებს, ამტკიცებს, რომ ცურვა პატრიკისთვის სასარგებლოა. ბავშვი ფიზიკური განვითარებით საგრძნობლად უსწრებს თავის თანატოლებს.

ს უ რ ა თ ზ ე: მამა-შვილი აუზში.

ხ. მიგდალის ფოტო (ახალი ამბების სააგენტო).

## მოძმე პოლონეთში

### ოკეანის პირისპირ

გდინიაში დამთავრდა პოლონეთის პირველობა აფროსნობაში. ამ შეჯიბრების სენსაცია იყო მონაწილეობა სამი მრბოლელისა, რომლებიც ცალ-ცალკე იახტებით ცურავდნენ. ჩვეულებრივ ამ იახტებს 5-7 კაცისგან შემდგარი ეკიპაჟი ემსახურება. სამი სპორტსმენიდან 400 მილზე რბოლაში საპატიო ადგილის მოპოვებას არც ერთი არ ცდილობდა, თუმცა კ. ბარანოვსკიმ, მაგალითად, ეკიპაჟების ნახევარი ჩამოიტოვა. სპორტსმენები რეგატაში მხოლოდ იმ მიზნით მონაწილეობდნენ, რომ ერთეულ აფროსანთა 1972 წლის ტრანსატლანტიკური რბოლის საგზურისთვის გამართული ასპარეზობის პირველი ტური ჩაეტარებინათ.

პოლონეთი პირველად მიიღებს მონაწილეობას ამ ასპარეზობაში. 15 კანდიდატიდან 8 შეარჩიეს. გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს" კორესპონდენტის, შესანიშნავი აფროსნისა და სამთომოთხილამურის ბარანოვსკის გარდა ტრანსატლანტიკური რბოლის საგზურისთვის გადამწყვეტ დავაში ჩაებმებიან შჩეცინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აფროსნობის ინსტრუქტორი ა. ბერესნევიჩი და გდინიელი ინჟინერი ზ. პუხალსკი.

### მიწისქვეშა „პიკების" იერიში

წარმატებით დამთავრდა პოლონელ სპელეოლოგთა იერიში ავსტრიის ყველაზე ღრმა—გრუბერჰორნჰელეს მღვიმეზე. 700 მეტრზე ღრმად მდებარე „პიკის" დალაშქვრისთვის სპელეოლოგები მთელ წელიწადს ემზადებოდნენ. ამ დღეებში მათ ავსტრიელ სპორტსმენთა დახმარებით დაიწყეს დაშვება. კარავი 600 მეტრზე დასცეს და დაიწყეს ახალი სიღრმეებისა და მღვიმის დერეფნების ძიება.

სპორტსმენებს მოუხდათ წყალქვეშა მოწყობილობისა და გასაბერი ნავების გამოყენება, ვინაიდან ამ დღეებში ავსტრიაში კოკისპირულად წვიმდა და მღვიმის ლაბირინთები ტბებად იქცა. სპელეოლოგებმა მიაგნეს დერეფანს, რომელიც გაცილებით უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ დაპყრობილი მღვიმის ფსკერი. ახლა მათ 854 მეტრს მიაღწიეს. ამგვარად, გრუბერჰორნჰელემ მსოფლიო მღვიმეების სიაში მეთორმეტედან VI ადგილზე გადაინაცვლა და შუა ევროპის სპელეოლოგიურ „პიკად" იქცა.

### საინტერესო ბლიცტურნირი

ლოძის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თამაშის უახლესი მათემატიკური თეორიის გამოყენების ორიგინალურ გზას მიაგნეს. ელექტრულ-გამომთვლელი მანქანა „ოდრა", რომელიც აქ კიბერნეტიკის კათედრაზე მუშაობს, არდადეგების დღეებშიც კი არ არის უქმად. ლაბორატორიის მასპინძლები მანქანასთან საასპარეზოდ იწვევენ სხვა ქალაქების სტუდენტებს, რომლებიც საწარმოო პრაქტიკაზე არიან ლოძში.

ყოველ მათგანს შეუძლია ეთამაშოს „ოდრას" და მასთან ბლიცტურნირი გამართოს ჭადრაკის რამდენიმე დაფაზე.

განსაკუთრებით პოპულარულია „სამი ციფრი" — ასანთით თამაში, რომლის საფუძველზეც ლოძელმა სტუდენტებმა ბევრი ორიგინალური მათემატიკური კომპოზიცია ააგეს.

სტუდენტებმა შენიშნეს, რომ მათი მანქანა ჭადრაკს უფრო წარმატებით გამოცდილ ოსტატებთან თამაშობს, ვიდრე ახალბედებთან ან გამოუცდელ მოთამაშეებთან. ეს ნიშნავსო, — ამბობენ სტუდენტები, — რომ სუსტი მოთამაშეები მანქანის მაგნიტურ მეხსიერებას არასრულფასოვანი გამოცდილებით ასუსტებენ და იგი პრიმიტიულ სვლებთან ბრძოლაში „იღლება".

ნ. ჟელეზნოვი.

(საკდესის კორ.).

ვარშავა.



# ხუთჭიდი, ათჭიდი, ასჭიდი... ერთჭიდი?

## პროლოგი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ტანწერწეტა, ხუჭუჭთმიანი; კუნთმაგარი ჭაბუკი, მტრის თვალს რომ არ დაენახვებოდა, ისეთი.

ასე იწყება ბევრი ზღაპარი, ჩვენც ასე დავიწყოთ. დაე, მკითხველმა თვალდ განსაჯოს, ამ ამბავში სად არის სიმართლე და სად სიცრუე.

## აქა ამბავი მჭედაბუკისა

ყოდა, იმას მოგახსენებდით: იყო ერთი მშვენიერი ჭაბუკი. ზევსივით ძლიერსა და აქილევსივით ფეხმარდს ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად. ერთი სიტყვით, მთვარესთან ჭიდილი მქონდა: აქაოდა, შენ ჩადი და მე ამოვალო.

აკი ამოვიდა კიდეც! სხვები წლობით რომ იზრდებოდნენ, ის თვეობით, მავანნი და მავანნი რომ თვეობით, ის დღეობით და ა. შ. და ა. შ.

ძლიერსა და თავმომწონეს ზნეც სანაქებო დაჰყვა. ბალიშის მაგივრად სასთუმლად წიგნების გროვა ედო. რამდენს არ კითხულობდა, რამდენს არ სწავლობდა, არაჩვეულებრივი ძალ-ღონის მეათედსაც ვერ ხარჯავდა. თვალი უჭრიდა, მკლავი ერჩოდა, მუხლი რკინისა ჰქონდა. „მისი ფიზიკური მონაცემები მწვრთნელის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია".



ალმზრდელმა (მწვრთნელმა) სამი რამ დაისახა მიზნად: (მწვრთნელი განათლებული კაცი იყო და საუცხოოდ იცნობდა „სიბრძნე სიცრუისას"): მჭედაბუკს ძალა ჭიანჭველისა უნდა ჰქონოდა, გულისხმიერება ვირისა და ერთგულება ძაღლისა. დაფნის გვირგვინს უმზადებდა და არც სპარტანულ აღზრდას აკლებდა — მჭედაბუკს თოვლი ათოვდა, მზეში იხრუკებოდა, ფეხშიშველი ნიადაგ ეკალ-ბარდებში დარბოდა, რომ: 1) არ შესცივნოდა (თოვლი), 2) არ დასიცხულიყო (მზე), 3) იოლი გზით არ ევლო (ეკალ-ბარდი).

ლეგენდარული შვედი ოფიცრის დარად მანაც ხუთჭიდით დაიწყო. ორი თვის შემდეგ მისი მჯობნი დედამიწის ზურგზე კაცი არ იყო. იფიქრეს, იფიქრეს მწვრთნელმა და მჭედაბუკმა და ბოლოს გადაწყვიტეს — ხუთჭიდი ორზე გაემრავლებინათ და ათჭიდისთვის მოეკიდათ ხელი.

გამოხდა ხანი, რაც კი დუნიაზე ათჭიდელები იყვნენ, მჭედაბუკმა ყველანი დაჯაბნა. მას უკანდასახევი გზა აღარა ჰქონდა.

ერთადერთი გამოსავალი დარჩა: ასჭიდში უნდა გადასულიყო. გაგიხარიათ, აქ კი გაშალა ფრთები ფეხმარდმა ჭაბუკმა. აი, როდის წამოვიდა რეკორდების წვიმა. ეს წვიმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი მუშაითობის სანახავად ხალხი ქოლგებით მოდიოდა.

იცვლებოდნენ წელიწადის დრონი: მზე უმოწყალოდ იწვებოდა, წვიმა გამეტებით ასხამდა, თოვლი შეუჩერებლად ბარდნიდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ჩვენი მჭედაბუკი ნირსაც არ იხრიდა. რაც ქვეყანაზე ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო (რა თქმა უნდა, მედლებზეა საუბარი) იყო, შინ უზარმაზარი ტომრებით მოჰქონდა.

გამოხდა ხანი. ასჭიდელი მჭედაბუკის ეზო-კარი სხვადასხვა ლირსების ლითონმა გაავსო. ბოლოს ტომრები ბინის კარამდე ჩალაგდა — ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარ დარჩა. ასე რომ, გოლიათი შინ ვეღარ იძინებდა, საწოლი ლიაცის ქვეშ გაშალა. კარგა ხანს ცხოვრობდა ასე, ვიდრე ერთ მშვენიერ (იქნებ საბედისწერო) დღეს გადაწყვიტა: 1) გაენთავისუფლებინა სახლი ლითონისგან, 2) დაფნის გვირგვინი დიასახლისებისთვის გაენაწილებინა (გემრიელი კერძისთვის), 3) ასჭიდი ერთჭიდით შეეცვალა (სმა-ჭამა).

## ეპილოგი

ახალ ასპარეზზე ერთჭიდელთა შორის მჭედაბუკს მოულოდნელად უთვალავი მეტოქე გამოუჩნდა: იმ ქალაქში მცხოვრები ღორმუცელა, ჭინჭილათმკვნეტელა და ძმანი მათნი ასპარეზობის ანუ სმა-ჭამის ჩემპიონატის დაწყების წინ მამათ ჩვენთსავით ჩაიკითხავდნენ ცხონებული რაბლეს „გარგანტუას და პანტაგრუელის" გასტრონომიულ თავებს; შემდეგ კი, გოჯვარდეს, ყანწებს ატრიალებდნენ. ძალიან გაუჭირდა მჭედაბუკს, ისე გაუჭირდა, რომ თქვენი მოწონებული. მაგრამ დაძაბულ, უშელავათო და საინტერესო სამთაბრძოლებში იგი მაინც არავის უთმობდა კვარცხლბეკის პირველ საფეხურს (იხ. სურათი 1). ძმა ძმისთვისაო — ფუთქვამთ და ღორმუცელას სულაც არ სწყინდა დამარცხება (იხ. სურათი 2). ჭინჭილათმკვნეტელა კი ასე გამოხატავდა მეგობრის გამარჯვებით გამოწვეულ აღტაცებას (იხ. სურათი 3). საიდუმლო უნდა გაგანდოთ და მჭედაბუკის ორივე ძმაკაცი ძველი სპორტსმენი იყო.



იცვლებოდნენ წელიწადის დრონი: მზე იწვებოდა, წვიმა სცრიდა, თოვლი ბარდნიდა. მჭედაბუკს სიცხისგან სული ეხუთებოდა, წვიმა ძვლებამდე ატანდა, სიცივისგან კბილებს აკაწკაწებდა. ზაფხულში ტელევიზორთან თვლემდა, ზამთარში — ბუხართან. თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, მისი სპორტული ინვენტარი ქანგმა შეჭამა, დაფნის გვირგვინი ობობის ქსელში გაეხვია.

მჭედაბუკი კი წვიმიან ამინდში ასპარეზობდა (სმა-ჭამა), ზაფხულში ტელევიზორთან თვლემდა, ზამთარში — ბუხართან.

ა. გოგელია.



რ. გაბრიაძის ნახატები.



## საჩუქარი მოსწავლეებს

საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის საშუალო სკოლა წლების განმავლობაში უვარგის შენობაში იყო მოთავსებული, არ ჰქონდა სპორტდარბაზი და მოედნები, რის გამოც მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა.

წლეულს მდგომარეობა არსებითად გამოსწორდა. მოსწავლეებმა მიიღეს ძვირფასი საჩუქარი: ახალი ორსართულიანი შენობა, რომელსაც აქვს სპორტდარბაზი სათანადო სათავსოებით.

როგორც სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა გ. გაგალაძემ გვითხრა, ახლა ინვენტარის შეძენას აპირებენ და სკოლას ამ საქმეში რაიონის განათლების განყოფილებაც უნდა დაეხმაროს. გარდა ამისა, საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი შ. ბაზაძე) სკოლას გამოუყოფს ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთს, სადაც განზრახულია კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნების მოწყობა. აქვე მოეწყობა ხარბენი ბილიკები, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომის სექტორები, საჭიდაო ხარბიელი.

ა. ანასაშვილი.

საჩხერე. (ჩვენი კორ.).

## კობულეთი

ახლახან აქ გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად რაიონში ჯანმრთელობისა და ფიზკულტურის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებზეც იმსჯელა. სესიაზე ანგარიშით წარსდგა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ი. მეავანაძე. მიღებულია სათანადო დადგენილება.

ლ. ტრაპაიძე.

## წყლის პირას... უწყლოდ

რედაქციის მოწმობამ ვერ მიშველა: კასპში ტბა ვერა და ვერ ვნახე. დარაჯი თოფით მემუქრებოდა. იძულებული გავხდი უკან დამეხია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ გასაჭირში აღმოჩნდი არა მარტო მე, არამედ კასპის ბევრი სხვა მცხოვრებიც. ამ ხუთი წლის წინ ოკამის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ა. ქაჯაიას მოესურვა კასპის ტბის ხელში ჩაგდება და ეს სულ იოლადაც შეძლო... საყვედური არავის დასცდენია.

და თუ ადრე ველოსიპედებზე ამხედრებული კასპელები ხეებით შემოჯარული ტბისკენ ხალისით მიეშურებოდნენ, ახლა ისინი ჩქარობენ... რესტორნისკენ (სხვათა შორის, ტბის გარშემო ხეები მოსწავლეების მიერაა დარგული). სადღაც ხომ უნდა დაისვენოს კაცმა? 111 კასპელი მოცურავე ახლა „შვებულებაშია".

სამაგიეროდ, წყალი თავსაყრელი აქვთ მოჭიდავეებს. მათი დარბაზის სახურავი ერთიანად დაცხრილულია. როცა წვიმს, დარბაზში წყალდიდობაა. ამ დროს სსრ კავშირის ჩემპიონები სამბოში ახალგაზრდებს შორის ჯ. გუთნიაშვილი, რ. მაღლაფერიძე, სსრ კავშირის ჩემპიონები ჭაბუკთა შორის ჯ. ხორბალაძე, შ. შაქარაშვილი, ი. მაღალაშვილი ნაღვლიანად შესცქერიან ცას და ღვთის გულმოწყალებას ელიან.

ბევრი მოჭიდავე სავარჯიშოდ 25 კილომეტრზე შორი მანძილიდან მოდის. და „ჭილდოდ" ეს დარბაზი ხვდება.

რაიონის მძლეოსნურ სექციაში 1066 კაცია გაერთიანებული. მათგან 368 თანრიგოსანია. მაგრამ შეჯიბრების ჩასატარებლად ადგილი არა აქვთ: არამცთუ სოფლებში, არამედ თვით კასპშიც კი სტადიონს არც ხარბენი ბილიკები აქვს, არც სექტორები.

სამაგიეროდ, უხვადაა დაპირებები. მაგრამ კარგი სპორტსმენები ქაღალდზე არ იზრდებიან.

დროა კასპში აშენდეს საცურაო აუზიც. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა ხომ კარზეა მომდგარი. მძლეოსნობა და ცურვა კი ყველაზე „ძვირად ღირებული" სახეობებია.

საჭიროა ზამთარში დარბაზში ვარჯიში? რა თქმა უნდა, — გიპასუხებთ ყოველი სპეციალისტი. ეს განსაკუთრებით საჭიროა ბავშვებისთვის. მაგრამ კასპის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები არ ჩქარობენ. დარბაზში 4 თვეა რემონტი მიმდინარეობს და ჯერჯერობით მხოლოდ სახურავის ნაწილი შეაკეთეს.

„სიტყვას გაძლევთ, რომ 1970 წლის 1 დეკემბრისთვის სპორტდარბაზი მზად იქნება, — ამბობს კასპის სარემონტო-სამშენებლო კონტორის უფროსი გ. ბარნაბიშვილი. — დღემდე არც ხის მასალა გვქონდა, არც რკინა. ახლა კი მდგომარეობა გამოსწორდა და ფიზკულტურელებს დავეხმარებით".

ვნახოთ.

რაიონში ძალიან პოპულარულია ჭიდაობა. ნუთუ არ შეიძლება მარტივი ტიპის მოედნები მოეწყოს, თუნდაც, ახალქალაქში, ლამისყანაში?

სავალალო მდგომარეობაშია იგო სტადიონის კალათბურთის მოედანი. ფარები — უკალათოდ, მოედანზე მოთამაშეთა ნაცვლად ... ბატები.

პირველ ნაბიჯებს სპორტში ადამიანი სკოლის პერიოდში დგამს, მაგრამ როგორ მოიქცნენ რაიონის 8 საშუალო და 14 რვაწლიანი სკოლის აღსაზრდელები, თუ ერთი სპორტდარბაზიც არა აქვთ?

იქნებ საქართველოს განათლების სამინისტროში გაგვცენ პასუხი ამ შეკითხვაზე?

ვ. ზუკინი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

კასპი.




სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

# როდემდე გაგრძელდება ასე?

მინსკი. „დინამოს" სტადიონი. 13 სექტემბერი.

„დინამო" (მინსკი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (0:1).

მინსკი: სკოკოვი, კუზნეცოვი (ტოლეიკო), გრებნევი, გურკო, სემიონოვი, ვორონინი, კურნევი, ვოლოხი (ფოკინი), ვასილიევი, პრიბილოვი, სახაროვი.

თბილისი: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში კოკისპირული წვიმა არ შეჩერებულა, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა თამაში. მიუხედავად ამისა, სტუმრები მეთოდურად, დიდხანს უტევდნენ მასპინძელთა კარს. და აი, 29-ე წუთზე მეტრეველის ოსტატურად ჩაწოდებული ბურთი გ. ნოდიამ ლამაზი გოლით დააგვირგვინა — 1:0. ეს გოლი გ. ნოდიასთვის მეთერთმეტეა მიმდინარე ჩემპიონატში.

მინსკელები მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ, მათი კონტრშეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, მაგრამ სტეფანიამ რამდენიმე ძალზე ძნელი ბურთი აიღო და მასპინძლებს გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

საპასუხო ბურთი მაინც იქნა გატანილი, რაშიც, პირველ ყოვლისა, თვით თბილისელები არიან დამნაშავე: შესვენების შემდეგ მათ ფაქტიურად დათმეს პოზიციები. ერთადერთი, ვინც თამაშის აწყობას ცდილობდა, მეტრეველი იყო, მაგრამ მას არავინ აუბა მხარი.

და აი, როცა თამაშის დამთავრებას 13 წუთი აკლდა, მინსკელთა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო: ვასილიევმა გაიტანა გოლი და ქულაც გადაარჩინა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: წლევანდელ სეზონში თბილისელებმა სტუმრად საკავშირო პირველობის ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს. როდემდე გაგრძელდება ასე?

მ. სუხარევიჩი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 10 | 10 | 4 | 38—20 | 30 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 23 | 12 | 6 | 5 | 31—15 | 30 |
| ცსკა | 22 | 12 | 4 | 6 | 31—14 | 28 |
| „დინამო" (კიევი) | 23 | 12 | 4 | 7 | 26—17 | 28 |
| „დინამო" (თბილისი) | 22 | 10 | 7 | 5 | 29—17 | 27 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 23 | 9 | 9 | 5 | 24—20 | 27 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 9 | 8 | 6 | 25—25 | 26 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 23 | 6 | 13 | 4 | 20—15 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 22 | 9 | 5 | 8 | 22—22 | 23 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 21 | 6 | 9 | 6 | 18—14 | 21 |
| „დინამო" (მინსკი) | 23 | 6 | 9 | 8 | 25—23 | 21 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 24 | 6 | 9 | 9 | 17—35 | 21 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 24 | 4 | 10 | 10 | 17—24 | 18 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 23 | 6 | 6 | 11 | 22—42 | 18 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 23 | 5 | 6 | 12 | 18—35 | 16 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 21 | 4 | 7 | 10 | 14—24 | 15 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 24 | 4 | 6 | 14 | 22—37 | 14 |

# სად იყო რევანშის წყურვილი?

„გ" ჯგუფი

II ზონის I ქვეჯგუფი

გასულ კვირას ტყიბულის „მეშახტეს" ვანის „სულორის" ფეხბურთელებს უმასპინძლა. ქალაქის სტადიონზე შეკრებილი მაყურებლები მოელოდნენ, რომ მასპინძლები რევანშის წყურვილით გამოვიდოდნენ სათამაშოდ: პირველ წრეში მათ ხომ მარცხი იწვნიეს ვანელებთან — 0:1.

შეხვედრა მაღალ ტემპში, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. პირველ ხანებში უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა, თუმცა მე-10 წუთისთვის სტუმრებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის ორი კარგი შესაძლებლობა.

მე-13 წუთზე ტყიბულელმა ჯიშკარიანმა შორიდან გაიტანა ბურთი, 15 წუთის შემდეგ კი ვანელმა საკანდელიძემ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მაგრამ ეს ანგარიში სულ ორ წუთს შემორჩა ტაბლოს: სირაძემ ოსტატურად აუარა გვერდი სტუმრების მცველებს, ბურთი ჩააწოდა კარის გასწვრივ და თოდიძემ წინ გაიყვანა „მეშახტე" — 2:1.

შესვენების შემდეგ უმეტესად „სულორის" ფეხბურთელები უტევდნენ. ტყიბულელებს მატჩი მოგებული ეგონათ, დამშვიდდნენ და დაისაჯნენ კიდეც: ვანელმა მეტრეველმა ზუსტი დარტყმით წონასწორობა აღადგინა — 2:2.

მასპინძლებმა ეს მატჩი, შეიძლება ითქვას, დაბალ დონეზე ჩაატარეს. არ ჩანდა მონდომება და გამარჯვებისადმი სწრაფვა. ცხინვალის „სპარტაკთან" დიდი ანგარიშით წაგება და ვანელებთან ფრე მოწმობს იმას, რომ მეშახტე ფეხბურთელთა კოლექტივში ყველაფერი რიგზე არ არის.

ზ. ჯორჯაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ტყიბული.

# „კოლხეთი" — „გურია" 0:0

ფოთის „კოლხეთისა" და ლანჩხუთის „გურიის" მატჩები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ასე მოხდა ამჯერადაც — 13 სექტემბერს. გუნდები ორივე ტაიმის განმავლობაში უშედავათოდ იბრძოდნენ, მაგრამ მწვავე ორმხრივმა შეტევებმა არც ერთ მათგანს არ მოუტანა წარმატება. მართალია, მასპინძლებს შესვენების შემდეგ ჰქონდათ ლანჩხუთელთა კარის აღების ორი ნაღდი შესაძლებლობა, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები მიზანს აცდა.

საბოლოოდ ფრე — 0:0.

ბ. ბასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ფოთი.

# მერმანული სასნაული

ბარსელონა, 12 სექტემბერი. დღეს ბარსელონაში პაპანაქება სიცხის შემდეგ მოულოდნელად აგრილდა, მაგრამ „პიკორნელის" აუზში ამას ბრძოლის სიმწვავე არ გაუნელებია. ჯერ კიდევ წინასწარ შეჯიბრებაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა რ. მათესმა (გდრ), რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.06,1 აჩვენა.

როცა მორიგი ფინალური გაცურვა დამთავრდა, ექიმებმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვის სამივე პრიზიორი — უ. პოზერი (გდრ — 2.08,0), ფ. მეუვი (გფრ—2.08,2) და ჰ. ფოლკნერი (გდრ — 2.09,6) დაჯილდოების ცერემონიალამდე დოპინგზე შესამოწმებლად წაიყვანეს (ბარსელონაში ყველა პრიზიორს ამოწმებდნენ). დადასტურდა, რომ მოცურავეებს, რომელთაც ჩემპიონატის ბოლო დღისთვის ევროპის 24 ახალი რეკორდი (მათგან 5 მსოფლიო მიღწევა) ჰქონდათ დამყარებული, სტიმულატორები არ გამოუყენებიათ.

როგორც ვწერდით, 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის ახალი რეკორდით გაიმარჯვა ჰ. ფასნაჰტმა (გფრ). ახლა დავსძენთ, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობისას მან კონტინენტის რეკორდი დაამყარა 800-მეტრიან მონაკვეთზეც — 8.41,4.

პარასკევს იტალიის ნაკრებთან ბრწყინვალე გამარჯვების—8:3 (2:1), 3:2, 1:0, 2:0) შემდეგ საბჭოთა წყალბურთელები გადამწყვეტ მატჩში უნდა შეხვდნენ უნგრეთის ნაკრებს, რომელმაც მოუგო იუგოსლავიის გუნდს — 7:4 (2:1, 1:0, 2:0, 2:3).

ბარსელონა, 13 სექტემბერი. საბჭოთა წყალბურთელებისთვის ევროპის XII ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში გამარჯვების აკორდით დამთავრდა. საბჭოთა გუნდმა კვლავ მოიპოვა კონტინენტზე უძლიერესის სახელი, როცა დასკვნით მატჩში დაამარცხა ევროპის რვაგზის ჩემპიონები — უნგრეთის სპორტსმენები — 6:5 (1:1, 2:1, 2:2, 1:1).

საბჭოთა წყალბურთელებმა ბარსელონაში ყველა მატჩი მოიგეს, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე იყო ბოლო შეხვედრა. ფინალამდე უნგრელი სპორტსმენებიც დაუმარცხებლად მივიდნენ. ტრიბუნებზე ენით აუწერელი ხმაური იდგა. მაყურებლები ორივე გუნდს უჭერდნენ მხარს. თავიდან სსრ კავშირის სპორტსმენები დაწინაურდნენ (5:2), მაგრამ უნგრელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ეს იყო ყველაზე დრამატული მომენტი. მაგრამ აი, დაიწყო კონტრიერიში და ხარკოველმა ა. ბარკალოვმა გამარჯვების მაუწყებელი ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

წყალბურთელთა გამარჯვებამ ოდნავ გაანელა საბჭოთა წყალში მხტომელებისა და მოცურავეების წარუმატებლობა, თუმცა დამყარებულია სსრ კავშირის 16 რეკორდი (მათ შორის, 3 ევროპული მიღწევა). სამივე მთავარი პრიზი — „ევროპის თასი" ვაჟთა გუნდებისთვის სამ სახეობაში, „ბრედიუსის თასი" — ქალთა გუნდებისთვის და „ფერნის თასი" მხტომელებისთვის პირველად ხვდა გდრ-ის ნაკრებს, რომლის სპორტსმენებიც თანაბრად და ძლიერად გამოდიოდნენ.

გდრ-ის სპორტსმენთა ახალი დიდი წარმატება, მძაფრი და ფართო მეტოქეობა, მსოფლიოს, ევროპისა და იმ 25 ქვეყნის წარმომადგენელთა ახალი რეკორდები, რომელთა სპორტსმენებიც ბარსელონაში ასპარეზობდნენ — აი, ჩემპიონატის მთავარი შედეგი.

ბარსელონაში ევროპის 28 რეკორდი დამყარდა, რომელთაგან 6 მსოფლიო მიღწევას სჯობს. მოცურავეთა შეჯიბრებაში თითქმის მუდამ ფავორიტები იმარჯვებდნენ. იყო სიურპრიზებიც, რომელთა ავტორებიც აღმოჩნდნენ გ. ლარსონი (შვეცია), კ. კატცური (გდრ), თ. ლეკვეიშვილი (სსრ კავშირი), მ. რუსო (საფრანგეთი) და სხვ.

საბჭოთა მოცურავეები ზოგჯერ სსრ კავშირის ახალი რეკორდებით უმედლებოდ რჩებოდნენ, ზოგჯერ კი ფინალში ბოლო, VIII ადგილზე გადიოდნენ.

ევროპელ წყალში მხტომელთა პროგრესი ეჭვს არ იწვევს. სამწუხაროდ, მოსკოველ ვ. ვასინს მსაჯები ძალიან მკაცრად მოექცნენ, საბჭოთა გუნდის დებიუტანტები კი ტურნირში ძალიან გაუბედავად გამოვიდნენ.

... ჩემპიონატის ბოლო დღე. ტრიბუნები კვლავ სავსეა. დღისით გაირკვა ჩემპიონის ვინაობა კოშკიდან ხტომაში. გამარჯვებას ყველა უწინასწარმეტყველებდა ოლიმპიურ ჩემპიონს, იტალიელ კ. დიბიასის, რომელმაც წლეულს მოიგო ბევრი მნიშვნელოვანი შეჯიბრება, მათ შორის, აშშ-ს ღია ჩემპიონატი. მაგრამ I ადგილზე გავიდა გდრ-ის წარმომადგენელი ლ. მათესი. შემდეგი ადგილები დაიკავეს იტალიელებმა დიბიასიმ და ჯ. კანიოტომ. ალმაათელი ვ. ტოშჩენკო მეოთხე აღმოჩნდა.

საბჭოთა სპორტსმენებმა მედლები ვერც ოთხ დანარჩენ ფინალში მოიგეს. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ლარსონმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.09,3. 200 მეტრზე ბატერფლაით ევროპის ახალი რეკორდით (2.20,2) გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა ჰელგა ლინდნერმა. შემდეგ კვლავ ვერავინ გაუწია მეტოქეობა მათესს, რომელმაც იოლად ჩამოიტოვა ყველა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.08,8. გდრ-ის გუნდს კიდევ ერთი ოქროს მედალი მოუტანა 16 წლის კარინ ნოიჰებაუერმა, რომელმაც 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა ევროპის ახალი რეკორდით — 9.29,1.

ვაჟთა ესტაფეტაში 4×200 მ თავისუფალი სტილით კონტინენტის კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა — 7.49,5 (გფრ-ის გუნდი). საბჭოთა სპორტსმენებმა (ხაბაროვსკელი გ. კულიკოვი, ფრუნზელი ა. ანარბაევი, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ა. სამსონოვი და მოსკოველი ვ. ბურე) ვერცხლის მედლები მიიღეს და სსრ კავშირის რეკორდი განაახლეს — 7.52,8.

მედლების მხრივ ასეთი მდგომარეობაა: 102 ჯილდო 12 ქვეყნის სპორტსმენებმა გაინაწილეს. 34 მედალი ხვდათ გდრ-ის სპორტსმენებს — 16 ოქრო, 9 ვერცხლი, 9 ბრინჯაო. მოპოვებული ჯილდოების რიცხვით II ადგილზე არიან სსრ კავშირის სპორტსმენები—17 (6, 4, 8); III—გფრ-ის სპორტსმენები — 14 (4, 6, 4).

## პირველობის ბოლო დღის ტექნიკური შედეგები

კოშკიდან ხტომა. ვაჟები. ლ. მათესი (გდრ) —454,74 ქულა; 2. კ. დიბიასი — 444,18; 3. ჯ. კანიოტო (ორივე — იტალია) — 435,36; 4. ვ. ტოშჩენკო (სსრ კავშირი) — 422,79; 5. ჟ. დეშუეერი (საფრანგეთი) — 411,48; 6. ვ. კაპირულინი (სსრ კავშირი) — 403,83.

ცურვა. 200 მ. გულაღმა. ვაჟები. რ. მათესი (გდრ) — 2.08,8, 2. ს. ესტევა (ესპანეთი) —2.09,7; 3. ფ. ვერნერი (გდრ) — 2.11,5... 6. ვ. კრასკო (სსრ კავშირი) — 2.13,3.

200 მ ბატერფლაით. ქალები. ჰ. ლინდნერი (გდრ) — 2.20,2 (ევროპის რეკორდი), 2. მ. შეგრტი (იუგოსლავია) — 2.24,5, 3. ე. შტოლცე (გდრ)— 2.25,6; 4. ვ. ტუტაევა — —2.28,4... 7. ნ. კაბანოვა (ორივე — სსრ კავშირი) — 2.33,1

200 მ კომპლექსური ცურვა. ვაჟები. 1. გ. ლარსონი (შვეცია) — 2.09,3 (მსოფლიო რეკორდი), 2. ნ. პეშმანი (გდრ) — 2.13,6, 3. ჰ. ლუნდბერგი (შვეცია) — 2.14,3, 4. მ. სუხარევი — 2.15,0... 7. ვ. კრავჩენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 2.16,0.

800 მ თავისუფალი სტილით. ქალები. 1. კ. ნოიჰებაუერი (გდრ) — 9.29,1 (ევროპის რეკორდი), 2. ლ. დე ბორი (ჰოლანდია) — 9.35,7, 3. ნ. კალიარისი (იტალია) — 9.38,8... 8. ო. კუდაშოვა (სსრ კავშირი) — 9.53,8.

ესტაფეტა 4×200 მ თავისუფალი სტილით. ვაჟები. 1. გფრ — 7.49,5 (ევროპის რეკორდი), 2. სსრ კავშირი— 7.52.8 (სსრ კავშირის რეკორდი), 3. გდრ — 7.54,5.

წყალბურთი. სსრ კავშირი— უნგრეთი 6:5, იუგოსლავია — ჰოლანდია 3:2, იტალია — რუმინეთი 5:4.

ფინალური ტურნირის მონაწილე წყალბურთელთა გუნდების კლასიფიკაცია: 1. სსრ კავშირი — 10 ქულა, 2. უნგრეთი — 8, 3. იუგოსლავია— 6, 4. იტალია — 4, 5. ჰოლანდია — 2, 6. რუმინეთი — 0.

# მილიონთა თასის ლაურეატები

ადრე გაზაფხულზე ფეხბურთელთა 60 ათასამდე გუნდმა აიღო სტარტი ყველაზე მასობრივ ასპარეზობაში: სსრ კავშირის თასის ტრადიციულ გათამაშებაში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. ახლა მათგან მხოლოდ 32 დარჩა დაუმარცხებელი. ისინი წარმატებით გამოვიდნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მოსკოვისა და ლენინგრადის თასების გათამაშებებში.

იწყება დასკვნითი თამაშები. ოქტომბრის შუა რიცხვებში ცნობილი გახდება „მილიონთა თასის" ახალი მფლობელის სახელი. ადრინდელი პრიზიორები — თბილისის „სინათლის" ფეხბურთელები ასპარეზობას საქართველოს თასის გათამაშების სტარტზე გამოეთიშნენ. მათ წააგეს რესპუბლიკური ტურნირის მომავალ გამარჯვებულებთან — ცხაკაიას „ეგრისის" სპორტსმენებთან.

ბალტიკიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე — ასეთია დასკვნითი თამაშების მონაწილე გუნდების გეოგრაფია. ფინალისტთა რიცხვში თითქმის ნახევარს ახალბედები შეადგენენ. ესენი არიან ბლაგოვეშჩენსკის „პოლიგრაფისტის" და რიგის „მორიაკის", თურქმენეთის ქალაქ ნებიტ-დაგის „ცემენტნიკისა" და სევეროდვინსკის „ბელომორეცის" ფეხბურთელები. ფინალისტების რიცხვში თითქმის მუდმივი ადგილი აქვს დასავლეთ ურალის მოსკოვის „სტრელას", რომელიც 7 წლის წინ თასის მფლობელი იყო.

წინა წლებისგან განსხვავებით, როცა ნახევარფინალისტები გამარჯვებულს წრიულ ტურნირში ავლენდნენ, ახლა დასკვნითი ასპარეზობა „მილიონთა თასზე" კვლავ ოლიმპიური სისტემით ჩატარდება.

(საკდესი).




◆ კატოვიცე, 14 სექტემბერი. ჭაბუკ ფეხბურთელთა „მეგობრობის ტურნირის" ფინალურ მატჩში რუმინეთის გუნდმა ანგარიშით 2:1 (1:1) დაამარცხა პოლონეთის მეორე ნაკრები. III ადგილზეა ბულგარელთა კოლექტივი, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში აჯობა ჩეხოსლოვაკიელებს — 4:0. V ადგილისთვის მატჩში პოლონეთის პირველმა ნაკრებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა გდრ-ის გუნდი. საბჭოთა ჭაბუკებმა მხოლოდ VII ადგილი დაიკავეს — დამატებით დროში სძლიეს უნგრელებს — 2:1.

# აბსოლუტური რეკორდი

**როტერდამი,** 14 სექტემბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები დამაჯერებლად ლიდერობს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფში. მეორე ტურში საბჭოთა ქალებმა დაამარცხეს ტურნირის მასპინძლები — ჰოლანდიელები — 92:44, გუშინ კი ფარხმალი დააყრევინეს უნგრეთის ნაკრებს — 94:33 (39:18).

და მაინც, აბსოლუტური რეკორდი ჯერჯერობით ეკუთვნის ლეევარდენის ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს — იუგოსლავიას, რომელმაც ბელგიის ნაკრები ნამდვილი ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხა — 115:56. ამ ჯგუფში მოულოდნელი არაფერი მომხდარა: რუმინელებმა ქულა აართვეს ავსტრიელებს — 86:45, ხოლო ფავორიტების — ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრაში პირველებმა იმარჯვეს — 74:72.

სამაგიეროდ, სენსაციური შედეგით აღინიშნა ორი მატჩი როტერდამში: ჰოლანდიის კალათბურთელებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 60:58, საფრანგეთის ნაკრებმა კი მოუგო პოლონელებს — 68:67. აღსანიშნავია, რომ ორივე დამარცხებულმა კოლექტივმა პირველი ტაიმი მოიგო (უნგრეთმა — ანგარიშით 31:24, პოლონეთმა — 36:34).

როტერდამის ჯგუფის დანარჩენი შეხვედრებიდან აღნიშვნის ღირსია ფრანგების კიდევ ორი გამარჯვება: ჰოლანდიელებთან — 69:58 და იტალიელებთან — 63:50. საფრანგეთის ნაკრებს, ისევე როგორც საბჭოთა გუნდს, 3 მატჩის შემდეგ 3 ქულა აქვს.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: **როტერდამი.** პოლონეთი — იტალია 61:48, პოლონეთი — უნგრეთი 55:53; **ლეევარდენი:** იუგოსლავია — ავსტრია 79:38, ჩეხოსლოვაკია—რუმინეთი 67:66, ბულგარეთი — ბელგია 84:47, ამ ჯგუფში დაუმარცხებლად იბრძვიან იუგოსლავიისა და ბულგარეთის კალათბურთელები.

## [illegible]

◆ **ბაზელი,** 14 სექტემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მატჩში საასპარეზოდ მოსკოვის სპარტაკელებთან სტუმრად ჩასვლის წინ ადგილობრივმა „ბაზელმა" შვეიცარიის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა მოუგო „ფრიბორგს" — 3:0. 6 ტურის შემდეგ ბაზელელები 9 ქულით გათამაშების ლიდერები არიან (ბურთების ბალანსი 16 — 5).

# ჯორჯ ბესტი — „ბითლი" „როლს-როისით"



„ირლანდიაში დაბრუნება ძვირი დამიჯდა", — ამბობს ირლანდიელთა კერპი, „ბითლი" „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ჯორჯ ბესტი. ლაპარაკობს და თან „ტიუდორის" პერანგის სახელოებს იკაპიწებს. „ძვირი კი არა, — განაგრძობს იგი, — ეს დაბრუნება ძალიან ძვირიც დამიჯდა. თაყვანისმცემლებმა ლითონის გროვად აქციეს ჩემი თეთრი „როლს-როისი" და ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯეს ჩემი თხისბეწვიანი ლაბადა. არა, ირლანდიელ ხალხს ძალიან ვუყვარვარ".

ჩვენ კათედრალური ტაძრის მახლობლად, ნერვიული ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ ფსიქოთერაპიულ დისკოთეკაში ვსაუბრობთ. ესაა ერთადერთი ადგილი, სადაც ჯორჯ ბესტი ისვენებს. შუადღისას, შინ რომ დავურეკე, ბესტმა მითხრა: „შემიძლია გესაუბროთ მხოლოდ საზოგადოება „ტაიმ ენდ პლეისის" (დრო და ადგილი) დისკოთეკაში 11 საათის შემდეგ. აქ, შინ, ლაპარაკს არ დაგვაცლიან, გამუდმებულ საფრთხეში ვიქნებით. მე მუდამ საფრთხე მემუქრება. აი, ახლაც რაღაც ხმაური მესმის. შეიძლება ჩემი თაყვანისმცემლები კედლის კარადაში არიან დამალული და უნდათ წვივსაკრავებზე ავტოგრაფები წავუწერო".

აი, ჩვენ უკვე საზოგადოება „ტაიმ ენდ პლეისის" დისკოთეკაში ვართ და ფსიქიურად სრულიად დაწყნარებულნი სრიალა დივანზე მოვკბლათდით.

„ამქვეყნად მარტო ერთი ტიპი მეგულება, რომელსაც შეუძლია ირლანდიელებზე მეტი ზიანი მომაყენოს. ეს გახლავთ სტაილზი, ჩემი ძვირფასი ამხანაგი და თანაგუნდელი. როცა ერთად ვთამაშობთ „მანჩესტერში", სტაილზი მეტოქეებს აფრთხილებს: აბა გაბედეთ და ხელი ახლეთ ჯორჯს, მაშინვე მარმელადივით დაგზელთო. ამ სიტყვებს სტაილზი ღიმილით ამბობს. მაგრამ საკმარისია პასუხად მეტოქემაც გაიღიმოს, რომ სტაილზის გაცოფებას საზღვარი არა აქვს. ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ, როცა ის ინგლისის სახელით თამაშობს, მე კი ჩრდილოეთ ირლანდიის სახელით გამოვდივარ, სტაილზი მარმელადივით მე მომაქცევს ხოლმე. მე ვშიშობ, პასუხს ვერ ვაძლევ, ის კი მირტყამს. ნეტა იცოდეთ, როგორ მირტყამს. გეგონება, თავის დღეში არ ვუნახივარ, თითქოს არც მიცნობს. მერე, მანჩესტერში რომ შევხვდებით, საყვედურს ვეტყვი ხოლმე, კოჭი მომამტვრიე-მეთქი. ვინ? რა ამბობ, ჯორჯ, ნუთუ მართლა გგონია, რომ მე ამის ჩამდენი ვართ? — ასე მიპასუხებს ხოლმე. როგორ მოგწონთ?"

„როგორია თქვენი დამოკიდებულება ლოუსთან და ჩარლტონთან?"

„ორივეს პატივს ვცემ და ისინიც პატივისცემით მექცევიან. ჰო, რას ვამბობდი? გამახსენდა, დუბლინი. მე ბელფასტიდან ვარ, მაგრამ გადავწყვიტე მესამე მაღაზია დუბლინში გამეხსნა. ორი მაღაზია მანჩესტერში მაქვს. ვფიქრობდი, რით წავიდე — „იზო რივალტით", „ლოტუსით" თუ „როლს-როისით"-მეთქი. მერე „როლს-როისი" ვარჩიე. მაგრამ ეს მანქანა მე არა მაქვს და მეგობარს დავურეკე. ვუთხარი: ტომ, შენი თეთრი „როლს-როისი" მჭირდება. ახლა მანქანის ყიდვის გუნებაზე არა ვარ. დუბლინში ჩავალ, მაღაზიას გავხსნი და დავბრუნდები-მეთქი. კი, ბატონო, მიმსახურეო, მითხრა. ჩავედი დუბლინში და მეორედ მოსვლაც დაიწყო. 15 ათასი კაცი მელოდა. ნამდვილი კატასტროფა იყო. მოვრთე ყვირილი: მანქანას თავი დაანებეთ, ჩემი არ არის, ტომისაა-მეთქი, მაგრამ ვინ გაგიგონა. ბრბო უკვე დასეოდა მანქანის კაპოტსა და სახურავს. მანქანა კი არა, კინაღამ მე გამომასალმეს წუთისოფელს. როგორ მოგწონთ?"

„არ მომწონს, რა თქმა უნდა. რა აზრისა ხართ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე?"

„ვყვირი, ტომის მანქანაა-მეთქი, მაგრამ ვინ გიჯერებს. ნამსხვრევებად აქციეს. ახალ მაღაზიას ორი მშვენიერი ვიტრინა აქვს. მაგრამ ერთი რამ ძალიან მაღარდებს".

„მაინც რა, მისტერ ბესტ?"

„მინდა არსებობდეს ერთი ეროვნული გუნდი, დიდი ბრიტანეთის ნაკრები. ამ გუნდში ინგლისის, შოტლანდიის, უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიის საუკეთესო ფეხბურთელები იქნებოდნენ თავმოყრილი. მაგრამ ერთი ნაკრები არ არსებობს და მე მუდამ ჩრდილში ვრჩები. დიდი ბრიტანეთის გუნდი რომ იყოს, სტაილზი ფეხებს ვეღარ დამამტვრევს. ისე კი დაუსრულებლად შეუძლია მირტყას, თითქოს არც მიცნობსო. დიდი ბრიტანეთის გუნდში რომ ვთამაშობდეთ, სტაილზს ჩემი ცნობა არც საზღვარგარეთ გაუჭირდებოდა და მე მთელ მსოფლიოში გავითქვამდი სახელს. თქვენ სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ მე მსოფლიო არ მიცნობს?"

„არა, რასაკვირველია. იტალიის ეროვნულ გუნდზე..."

„უნდა გითხრათ, ძალიან მტანჯავდა ნოსტალგია. მანჩესტერში პირველად რომ ჩამოვედი, 16 წლის ვიყავი და ჯიბეში ორიოდე გროში მიჭყაოდა. ახლა წელიწადში 56 ათას გირვანქა სტერლინგს ვიღებ. ორჯერ გავიპარე კიდევ ბელფასტში, მაგრამ შემდეგ სევდამ გამიარა და აქაც კარგად ვგრძნობ თავს. მანჩესტერი დღესაც ისეთივე ბინძურია, როგორიც ადრე იყო, მაგრამ მე უკვე გავიცანი იგი და ახლა ისე ცუდი აღარ მეჩვენება. მალე ქალაქგარეთ, ვილაში გადავალ საცხოვრებლად. იქ უფრო მშვიდად ვიქნები. ჯერჯერობით კი თავს მშვიდად მხოლოდ აქ ვგრძნობ, ამ დისკოთეკაში, საღამოობით. სმით არა ვსვამ და არც მაქვს ამის სურვილი. ვზივარ და ხშირად მუსიკას ვუსმენ. აქ ვერც გულშემატკივრები შემოვლენ და ვერც ტელეფონის ზარი მოაღწევს. აქ არავინ ლაპარაკობს ჯორჯ ბესტზე".

„როცა გულშემატკივრებთან საუბრობთ, რაზე გელაპარაკებიან?"

„მეუბნებიან, კარგად ითამაშეო. ჩემი პირადი ცხოვრება არ აინტერესებთ".

„რამდენადაც ვიცი, თქვენ ხშირად იცვლით ქალებს".

„მაგრამ ყოველთვის მხოლოდ ერთი მყავს. ამ უკანასკნელს, მაგალითად, უკვე ექვსი თვეა ვხვდები. ქალი ჭკვიანია. რას წარმოადგენს უქალო კაცი? ჯეიმს ბრაუნს ჰკითხეთ და გეტყვით, მომღერალს. თქვენ მას კარგად იცნობთ. უქალებოდ მე არარაობა ვიქნებოდი. „მანჩესტერს" არ აინტერესებს ჩემი პირადი საქმეები. „მანჩესტერს" მხოლოდ ის უნდა, რომ ახალ ვილაში არ გადავიდე საცხოვრებლად. განა თქვენ ეს სამართლიანად მიგაჩნიათ?"

„არა. მაგრამ თქვენ, სულ ერთია, მაინც გადახვალთ იმ ვილაში".

„მართალია, გადავალ. ის ვილა ძალიან ძვირი დამიჯდა. იქ ყველაფერი ელექტრობითაა მოწყობილი. დავდგი ძალიან რთული მოწყობილობა ქურდებისგან დასაცავად. ისე რთულია, პირდაპირ მიკვირს, როგორ გააკეთეს. მაგრამ მე მგონია, მაინც გამძარცვავენ. გაცილებით უფრო იმედიანად ვიქნები, კართან სტაილზი რომ დავაყენო და კისერზე ჩამოვკიდო წარწერა: „ფრთხილად, ფეხებით ურტყამს".

„მაგრამ დიდი ანგელოზი არც თქვენ უნდა იყოთ, მისტერ ბესტ".

„ეგ არბიტრების აზრია. არბიტრები მეტისმეტად იცავენ მცველებს, ისინი კი ათასგვარ ზღაპრებს ჰყვებიან. ამ სიტყვებს ჩემი დალეწილი კოჭები დაადასტურებენ. მე კორექტული მოთამაშე ვარ".

„რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო? ირლანდიელ კაცს ინგლისური ფეხბურთის ბურჯად მიგიჩნევენ. მართლა ასეთი ყოჩაღი ხართ?"

„მე ვთამაშობ. ვთამაშობ სულითა და გულით. მხიარულად, ყოველგვარი მზაკვრული ფიქრების გარეშე. არ მიყვარს, როცა ცდილობენ დრამაში ჩამითრიონ".

„თქვენ კარგ შთაბეჭდილებას დატოვებდით იტალიის ჩემპიონატში. რას იტყოდით იტალიაში თამაშზე?"

„ეს შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებელიც რომ იყოს, უარს ვიტყოდი. ვეღარ შევცვლი ჩემს ჩვეულებრივ ცხოვრებას, რომელიც ნორმალურად მიმაჩნია".

„კარგი ცხოვრება გაქვთ: თეთრი „როლს-როისი", თხისბეწვიანი ლაბადა, ყოველ სეზონში სხვადასხვა ქალი, მოგზაურობა ირლანდიაში, „ტიუდორის" სტილის ტანსაცმელი, ვილა ქალაქგარეთ".

„აბა, როგორ უნდა ვცხოვრობდე? საწყალი ლოუ, როგორც კი გაიხსენებს თავის „საპყრობილეს" ტურინში, მაშინვე თვალზე ცრემლი ადგება. მე ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ თავისუფალი ადამიანი ვარ".

„მართალი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, მოიგებთ ჩემპიონატს?"

„ჩვენ იმისთვის ვთამაშობთ, რომ მოვიგოთ. როცა ცხადი ხდება, რომ ჩემპიონატს ვეღარ მოვიგებთ, უკვე სხვა ფიქრს ვეძლევით. მაშინ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ბედი გაისად გამარჯვებაა. მოდით, ვიცეკვოთ".

„ვინ, მე და თქვენ?"

„რა სისულელეა. აი, იმ ორ მშვენიერ ქალიშვილთან".

ჯორჯ ბესტი წამოდგა და თითების ტკაცუნით გაემართა საცეკვაოდ, დაძაბული, თავისი სამოთხის — „ტაიმ ენდ პლეისის" ფსიქოთერაპიული სხივებით განათებული.

**ჯანი რანიერი.**

(„პაეზე სერას" სპეც. კორ.).
მანჩესტერი.

იტალიურიდან თარგმნა
**მ. ბარამიამ.**

# უცნაური ფაქტები

### „მომწყინდა"...

ამერიკელმა მძიმე წონის პროფესიონალმა მოკრივემ ჯ. კვორიმ, რომელიც „რანგთა ტაბელში" მეორე ადგილზეა, მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა იამაიკელი გოლიათი ს. ჭარისი, რომელსაც „დიდ ბამბუკს" ეძახიან. ჭარისი უკვე მეორე რაუნდიდან აგებდა. მან ბევრი ძლიერი დარტყმა დატოვა უპასუხოდ.

ბოლოს და ბოლოს „დიდმა ბამბუკმა" მეექვსე რაუნდში დრო იხელთა, მსაჯს მიუბრუნდა და უთხრა „მომწყინდა — მეყოფა ეს ცემა-ტყეპა".

ამ სიტყვების შემდეგ ჭარისი თავის კუთხეში დაბრუნდა. არბიტრმა მხრები აიჩეჩა, განცვიფრებულ კვორისთან მივიდა და გამოაცხადა მისი გამარჯვება ნოკაუტით.

### ჩოგბურთელი ქალების მუქარა

ნამყვან პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა ჯგუფმა მოგებისთვის განკუთვნილი გასამრჯელოს მომატება მოითხოვა. ისინი ამბობენ, რომ მაყურებელი ისეთივე ინტერესით ესწრება ქალთა ფინალურ შეჯიბრებებს, როგორც ვაჟთა ორთაბრძოლებს. მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორები, რომლებიც ფულად პრიზებს აწესებენ, ორჯერ ნაკლებს უხდიან ქალებს.

მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელმა ქალმა მ. კურტმა და მისმა მეგობრებმა განაცხადეს, რომ მხოლოდ დიდ ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას და არ გამოვლენ ისეთ შეჯიბრებებში, სადაც ვაჟებზე ორჯერ ნაკლები პრიზები იქნება.

### გასაკვირი გამარჯვება

3000 მეტრზე წინაღობებით რბენის ცნობილმა ავსტრალიელმა ოსტატმა კ. ო'ბრაიენმა [illegible] — 8.31,2.

# „მშვიდობის ველორბოლა-71"

მშვიდობის ტრადიციული ველორბოლის ორგანიზატორებმა — გაზეთების „ტრიბუნა ლიუდუს", „ნოიეს დოიჩლანდისა" და „რუდე პრავოს" რედაქციებმა გამოაცხადეს ამ უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრების საგაისო ტრასა. იგი 14 ეტაპადაა დაყოფილი და სიგრძე 1900 კმ აქვს. მშვიდობის XXIV ველორბოლის სტარტს სპორტსმენები 6 მაისს აიღებენ ვარშავაში, ხოლო ფინიში 21 მაისს ექნებათ პრაღაში.

აი, რა ეტაპების გავლა მოუწევთ ველოსიპედისტებს: 6 მაისი. ვარშავის გარშემო რბოლა (112 კმ), 7. ვარშავა — ვლოცლავეკი (165 კმ), 8. ვლოცლავეკი — პოზნანი (165), 9. ვალჩი — შჩეცინი (170), 10 მაისი დასვენების დღეა, 11. შჩეცინი — ბერლინი (157), 12. ბერლინი — კოტბუსი (144), 13. კოტბუსი — გერლიცი (134), 14. დაყოფილი სტარტით რბოლა დროის განსაზღვრით: ბიშოფსვერდი — დრეზდენი (37) და რბოლა დრეზდენის ქუჩებში (3), 15. დრეზდენი — ცვიკაუ (115), 16 მაისი დასვენების დღეა, 17. ცვიკაუ — სოკოლოვი (126), 18. სოკოლოვი — უსტი (166), 19. უსტი — იაბლონეცი (138), 20. რბოლა ლიბერეცის გარშემო (115), 21. ლიბერეცი — პრაღა (153).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მწვრთნელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ!**

თბილისის იმ მწვრთნელებისა და მასწავლებელთათვის, რომლებსაც საპატიო მიზეზით არ გაუვლიათ ატესტაცია, დამატებით დანიშნულია ცენტრალური საატესტაციო კომისიის უკანასკნელი სხდომები 29-30 სექტემბერს 16 საათზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

მწვრთნელებს ევალებათ წინასწარ წარმოადგინონ თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის კადრების განყოფილებაში დებულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო საბუთი.

**ცენტრალური საატესტაციო კომისია.**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი **აცხადებს კონკურსს** შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ფეხბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის და ბადმინტონის კათედრაზე ბადმინტონის სპეციალობის უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.

ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრაზე უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული (მეცნიერების კანდიდატი ან დოცენტი).

ფარიკაობის, ველოსპორტის, თანამედროვე ხუთჭიდის და სროლის კათედრაზე ველოსპორტის მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული, თანამედროვე ხუთჭიდის მასწავლებელი — 0,5 საშტატო ერთეული.

ჭიდაობის, კრივის და ძალოსნობის კათედრაზე კლასიკური ჭიდაობის მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.

ყველა სპეციალობაზე რუსული და ქართული ენების ცოდნა სავალდებულოა.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

**ინსტიტუტის რექტორატი.**